

572 /
1964 / 2



1 9 6 4 Ծ Ե Շ Թ Զ Ը Յ Ը

Հ Ա Մ Ն
№ 11





სიჭურჭა კოსტოან

2 ნიშ

ნახატი მ. მოტიბაძისა

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ სწვა შეხვედრებთან ერთად ანა-ერთსეფ ვიცადი სმოდს. აქ სმირად ვხვდებოდი ვლადიმერ ილიჩს.

ლენინს უამრავი ხალხი ესვია გარს: მუშები და კლეშები, ჯარისკაცები, მატროსები, მეცნიერები. ლენინი ვეკლასთვის ზოულბდა საჭიროს, განაკებსა და თბილ სიტყვას.

როცა ილიჩი დღისით სადმე წასვლას დაანირებდა, ვიცოდით, რომ კაბინეტიდან მანქანამდე გავლას სულ ცოტა საათსანსევარი მოუნდებოდა. მანქანის ღია კარიდან ლენინი ისევე ხალხს ესაუბრებოდა. ვლადიმერ ილიჩი იყო გულდია, უბრალო, და ამავე დროს, დიდი ადამიანი. ამიტომ უვეარდათ ლენინი და უსახდვროდ სჯეროდათ მისი უოველი სიტყვა.

ნოემბრის ერთ საღამოს კაცთან ვთბებოდით.

- ვიმდგროთ, რა!—თქვა ვიდაცამ.
- მოდით, „მწუსრისა ქამს“ წამოვიწყოთ!—მხარი აუბეს დანარჩენებმა.
- „მწუსრისა ქამს,
- მწუსრისა ქამს,“—

ისმოდა მეხლავურთა მჭექანე სმა.

ასე ვიმდგროდით, რომ მოულოდნელად ლენინი წამოკვადგა. თავი კვერდზე გადახარა და ისე გვისმენდა. ავლელდი. ვიცოდით, რომ ცუდად ვიმდგროდი. მე მოლოდ მისამდგრო „ბომ-ბომის“ თქმა მქონდა მონდობილი და აქაც მღალატობდა სმენა. ამ წუეულ

„ბომ-ბომის“ ვერ ვამბობდი ისე, როგორც საჭირო იყო. კიდევ კარგი, სიმღერა მთავრდებოდა.

— ასეთ ნაღვლიან სიმღერას რატომ მღერით?—იკითხა ლენინმა ბოლოს.

— ჩვენ მხიარული სიმღერებიც ვიცით, ამხანაგო ლენინ,—ვუნასუსვით ერთსმად.

— მით უვეთუსი!—მენიშა ვლადიმერ ილიჩმა,—ასლა მხე სიმღერები უნდა იმდგროთ.

თარგმნა ლ. ერადემ

9388

სამაგრობი

საოონ მაგრობიანი

მოვედვართ ზეიმზე,
მოვედვართ მხნედ,
ლენინის სურათი
მოგვიძღვის მზედ.

მოლედავს წითელი
ადმების ზღვა
და ჩვენი სიმღერის
წკრიადებს სმა:

— დიდება, დიდება
სამშობლოს მხეს!
დიდება, დიდება
ამ დიად დღეს!



ესა ვხვდებით ჩვენ

მურამ ბახვაძე

ნახატები ელენა კეკელიძისა

მე ლალი მქვია, ჩემს ძმას კი—დათო. ჩვენ სოფელ როხში ვცხოვრობთ. იქნებ არც კი გავიგონიათ ასეთი სოფელი. იგი მალლა,

მთებში არის, ცნობილი აგარაკის—საირმეს ახლოს.

ჩვენს სოფელში ბევრი ოქტომბრელია, და აი, გვინდა მათ შესახებ ვიამბოთ:

კავკასი უოსგადიონები


ჩვენი სახლი დიდი ხიდის ახლოს დგას. ხიდზე მთელი დღე დაქრიათ ავტომანქანები. მე, დათო, გოგიტა, ბიჭიკო და ნათელა კი ხიდის ქვეშ ვთამაშობთ ხოლმე.

რომ იცოდეთ, რა კარგია იქ, რამდენი ქვიშაა!.. გავცვაუს გვირაბები, გზები. მაგრამ წისქვილობანას თამაში ყველაფერს გვირჩევნია. გადმოვიყვანთ ხოლმე წისქვილის არხიდან წყალს და დავატრიალებთ ბორბალს. მერე რა ჩქარა ბრუნავს! როცა

ბორბალი გავვითრევთ, მეხუთეკლასელ რეზოს ვეხვეწებით—ახალი გავვიკეთეთო. რეზოს კი განა ყოველთვის სცალია! აი, ერთხელ, ფოსტალიონის ჩანთა გადაეკიდა მხარზე და ისე მოდიოდა. გავიკვირდა, გვეგონა, თამაშობდა. რეზომ გაბრაზებით შემოგვხვდა და გვითხრა:

— აბა, რატომ მიშლით ხელს, ვერა ხედავთ მთის უბანში ახალი გაზეთები და წერილები მიმაქვს...





თურმე ფოსტალიონი ძია ლექსო შეუძლოდ იყო, დაღამებამდე ვერ მოასწრებდა ყველა ეზოს ჩამოვლას და რეზო ეხმარებოდა. ჩვენც გავყევით, წერილები გამოვართვით და ეზო-ეზო დავფურივეთ ყველას: დეიდა თებროს, ბებია ბელოს, ბაბუა ბესოს, დეიდა კატოს...

— თქვენ გაიხარეთ, ეს რა ახალი ფოსტალიონები გვესტუმრნენო! — ამბობდნენ

ისინი.

იმ დღის შემდეგ, როცა ფოსტალიონი სკამზე დასასვენებლად ჩამოვდებოდა, ჩვენი უბნის ოქტომბრელები შემოვხვევით, გაზეთებს, წერილებს გამოვართმევით და მთის ფერდობზე შეფენილი ეზოებისაკენ გავრბივართ.

რომ იცოდეთ, რა სწრაფად ცარიელდება დიდი ჩანთა!

პირველი ეპიზოდი

ბიონერები ჩვენი მეგობრები არიან. ერთხელ ჯართის შესაგროვებლად წავიდნენ, ჩვენ კი არ წაგვიყვანეს, — ბატარები ხართ, დაიღლებითო.

დაებრუნდით, მაგრამ ფეხები უკან გვრჩებოდა. ჩვენს საყვარელ წისქვილს რომ მივუახლოვდით, აეთომ თქვა: იცით, მინდორში რამდენი რკინის ნაჭერი ყრია! ჩემს მეტი ვერავინ იპოვისო...

აბა, ასე უსარგებლოდ რატომ უნდა დაქანგ ულიყო, არ ჯობდა ქარხანაში ფოლადად გადაედნოთ?

წამოვიღეთ და წისქვილის უკან რიყზე დაგვწყვეთ. შემდეგ სახლებიდანაც მოვიტანეთ ძველი ქვაბები, ჩაიდნები, დაქანგული საწოლი.

როცა შებინდდა, რიყე-რიყე ჩუმად გადავზიდეთ სკოლის ეზოში. იქ ჯართის იმდენი გროვა იყო, რამდენი ბიონერთა რაზმიც არის სკოლაში. ჩვენი ჯართიც იქვე დავახვავეთ.

მას შემდეგ შარავანაზე ახალ მანქანას რომ დავინახავთ, — ასე გვეგონია, ჩვენი ფო-

ლაღისაგან არის დამზადებული. ვინ იცის, იქნებ ასე!



მკვებარა

მურა ძაღლი, უკუდო,
 წაეყოჩა ბასარას,
 მურიკელა ძირს დასცა
 და ტალახში გასვარა.
 ულოცავენ ფალავანს
 ნაგაზი და ფინია,
 — აგრე უნდა მკვებარას! —
 ყველა კმაყოფილია.



ლზინვი იწვევს

დათვი სტუმრებს ელის,
 დღეობა აქვს ბელის.

დეღი, დეღი, დელასა,
 ლზინში იწვევს ყველასა!

ტურიკელა მამიდა
 დაიღალა ჯაფითა.

მელა აცხოვს ქადებსა,
 მაჩვი ბრაწავს მწვადებსა.

შემოსძახა ცანცარამ:
 —ოღელია, დელასა!..

მონადირე თოფს სტენის,
 ვაი, იმათ ლზენასა!..

შრომა გვიყვარს

ლარსაან აბაშიძე

ბამთრის მარაგს ვიზბადებთ,
შრომა გვიყვარს ნამდვილი,
თავებოდა თხილს ვაგროვებთ
აღარ გვეკოფენის ადგილი.

ზათხულში რომ ვირჯებით,
ზამთარში ეს გვახარებს,
მარცვლით, თხილით, კაკალით
ვასაზრდოვებთ პატარებს.

თვადბრაწია ფისოს კი
შია, კნავის, წუწუნებს,
ჩვენ კი სულაც ვერ გვაძინებს
ქურღ-ბაცაცა წრუწუნებს.




- მამა, შეგიძლია თვადბაზუტულმა შენი გვარი და სახელი დაწერო?
- შემიძლია.
- მაშინ ჩემს დლიურში თვადბაზუტულმა მოაწერე ხელი.

დედამ ჰკითხა ემას:

- ხელები დაიბანე?
- კი, დედა, შეხვედ პირსახოცს!

გერმანულიდან თარგმნა როდამ ფალავამ

ნახატები ელსარე პეგოპაძისა



თაყზუი

პარლამენტის

მე და მამა თოჯინების თეატრშიც და ცირკშიც ტაქსით მივდივართ ხოლმე.

ერთხელ, გაჩერებაზე ტაქს რომ ველოდებოდი, მამამ მკითხა:

— რძე დალიე?

— არ მინდოდა და არ დავლიე!— ვუპასუხე მე.

— ადრე რომ მცოდნოდა, არ წამოგიყვანდი,— თქვა მამამ,— ახლა უკან გაბრუნება უხერხულია, თანაც ჩვენი რიგი უკვე მოვიდა.

მანქანაში ჩავსხედით.

— ეს ჩემი ბიჭია, რეზო,— უთხრა მამამ შოფერს,— წინა კვირას ცირკში ვიყავით, ახლა თოჯინების თეატრში მივდივართ.

— კარგია ცირკიც და თოჯინების თეატრიც, ორივე კარგია,— თქვა შოფერმა და მანქანაც დაიძრა.

— ორივე კარგია, მაგრამ აი, რეზომ რძე რომ არ დალია, ეს არ არის კარგი.

— რას ამბობ, — გაუკვირა შოფერს, — რძე არ დალიაო?! რატომ არ დალიე, ბიჭო, რძე? შოფერსაც ისე ვუპასუხე, როგორც მამას:

— არ მინდოდა და არ დავლიე!

შოფერმა მანქანა უტეხ შეაჩერა. ჩვენს წი-



ნაც გაჩერდა მანქანები და უკანაც. შოფერი მოგვიბრუნდა და მუზღმეკრულმა გვითხრა: — ძალიან, დიდი ბოლიში, მაგრამ უნდა

ჩაბრძანდეთ! მე ისეთ მგზავრს ვერ წავიყვან, რომელიც რძეს არ სვამს.

— მეტი რა გზაა,—მითხრა მამამ,—უნდა ჩავიდეთ, გამოვალე კარი. შენ რძე არ დალიე და მეც ფეხით უნდა ვიარო. არც სხვა შოფერი წავგიყვანს. ვიდრე ფეხით მივალთ, წარმოვდგენა დამთავრდება კიდევ.

— მერე დავლევ;—შევეხვეწე მამას,—როცა დაგებრუნდებით, მაშინ დავლევ!

— მოდი, დავუჯეროთ,—თქვა შოფერმა,—კარგი ბიჭი ჩანს, რაკი დაგვიბრდა, შეასრულეღს.

— ჰო, კარგი ბიჭია!—დაეთანხმა მამა,—რაკი დაგვიბრდა, უეჭველად შეასრულეღს.

— რძეს ყოველთვის დავლევ;—ვთქვი უფრო ხმამაღლა,—მამასაც დავუჯერებ, დედასაც, ბებოსაც, ყველას დავუჯერებ. მანქანა ისევ დაიძრა.

— შე კაი კაცო, მაგას რა ჯობია,—გაიციონა შოფერმა,—რძეს თუ დავლევ, მაგარი ბიჭი იქნები. შოფერებიც უნარს არ გეტყვიან, საითაც მოგესურვება, იქით გაგაქროლებენ... რძე, პატარა ბიჭებმა და გოგონებმა უნდა სვან.

— დავლევ, რატომაც არ დავლევ!
კარგი ძია იყო შოფერი...

მას შემდეგ რძეს ყოველთვის ვსვამ. ცირკშიც და თოჯინების თეატრშიც ყოველ კვირას დავდივართ, რა თქმა უნდა, მანქანით. ეკვლებით თუ არა მანქანაში, მაშინვე ვეუბნები შოფერს:

— მე რძის დაღვევაზე უნარს აღარ ვამბობ!

— აი, ყოჩაღ,—მაქებენ შოფერები,—კარგი ბიჭი ყოფილხარ. შენ ახლა ეგ მიბრძანე, საით წავიყვანო?

— წინა კვირას თოჯინების თეატრში ვიყავით, ახლა ცირკში მივდივართ,—ეუბნება მამა.

— კარგია თოჯინების თეატრი, ცირკიც. ორივე კარგია, ხომ არ გვაგვიანდება?

— გვაგვიანდება,—ეუუბნები მე.

— ცირკში და თოჯინების თეატრში როგორ შეიძლება დაგვიანება?! ცოტა ვიჩქაროთ!—ამბობს მამა.

— სწორია,—ეთანხმება შოფერი და... მიაქროლებს მანქანას.

მართალია მამაც და შოფერიც: თოჯინების თეატრში და ცირკში დაგვიანება არ შეიძლება.

ნახატი მაიოზ უოსხიშვილისა

მეყვალა ჭიჭინაძე

შეკერი


ნახატი პეპა მელიქიძევილისა

ფისო გოლში ჩამდგარა,
პენალტს ურტყამს მურია.
და ბეზიკოს სარეცხი
სულ მთლად გამურულია.



ტორტი

ატყდა ჭეჭა-ქუხილი,
იელვა და იწვიმა.
ქამა სოკოს შეეფარა
ბაწაწინა წიწილა.



ძილისგულა სულ არ არის, ყოჩალია ლეო, სწავლა უყვარს, მასზე ფიქრობს ღამეა თუ დღეო.

ღილით ადრე წამოდგომას ვერ დაასწრებს მზეო და სკოლისკენ მიიჩქარის ხუთოსანი ლეო.

გაკვეთილზე თითს აიწევს: მე მოგყვები, მეო. ყველა საგანს კარგად სწავლობს, ზეჯითია ლეო.

წუთით უქმად არ ჩერდება, შრომობს მთელი დღეო, რა გამარჯვ და მამაკია ეს პატარა ლეო!



თეთრი პარკი

წესი ლალა

ნახატები ჯ. შაველაძის

შემოდგომის საღამო იყო. პაპა დაეითი ენობი დარგულ ახალ ვაზებს ათვადიერებდა და თან სარეველა ბაღებზე გვედა. ფოთლებიდან პარკისფერი ყურძნის მტევნები იღიმებოდნენ. უხაროდა პაპას, რომ მისმა ვაზებმა ასეთი კარგი ნაყოფი გამოიღო.

პაპას ფხვადევი დასველებდნენ შვიდიშვილები—პაუდი და გოგი. ისინი ენმარებოდნენ პაპას საკმეში: ხან ბაღებს გვედნენ და ხან შეყვით. დედას ფოთლებს აცილებდნენ ვაზებს.

— პაუდი!—უცებ მოისმა ძახილი. ენოს ბოლოს მეზობლის გოგონა იდგა. — მოდი, ღია, მოცი!—გასმასა პაუდი. გოგონამ მიიჩინა. — გამარჯობა, პაპა!—მესალმა ღია პაპა და ენოს.

— გაიხარე, შვილი!—მოულო პაპამ ღიმილით. — შეხედე, ღია, ჩვენი ვაზებმა რა კარგი მტევნები გამოისხა!—აბარეს ბავშვმა აშხანას. ღიამ უწყაყოფლებით შუათადღისა ყურძნის ღამბი მტევნები.

— ახლა რას აკეთებთ აქ? სათამაშო არ მოეხიარო!—შეუკითხა ღია.

— ხომ ზედაც, პაპას ენმარებით,—მოულო პაუდი. — შეუ გიმშვიდით,—თქვა ღიამ და ბაღებს დასწვდა.

— პაპა, პაპა, მოდი ნახე ეს მტევანი!—გაისმის გოგის ხმა. პაპა და გოგი ენბის ერთ მტევანს დაამტერდნენ.

— ერიპა!—თქვა პაპამ და თავი გადაქონია.

— რა იყო, პაპა?—ეკითხა პაუდი.

— რაღა რა, ჩიტები შესწევდნენ ყურძენს.

— აი, ესეც გაუცნკიათ!—ღიამსა პაუდი.

— შეუ ენახე დაეწილი მარკელები.—თქვა ღიამ. პაპა და ბავშვები შეუფიქრინა ამ ამბავსა. — იცით რა, მე ახლაც მოვად!—წამოძახა ღიამ და გათქვა. ყველამ თვლი გაუყოლა ღიას. ვერ მხვდნენ, სად გარბოდა. რამდენიმე წუთის შუბზედ გოგონამ მიიჩინა და თან წინა, ძაფი და ღობანდის ნაჭერი მოიტანა.

— პაპა, მე ახლა პარკს შეუკვრავ და მტევანი

შეუ დაეშალა. შარმან ბებიაშ ღობანდის პარკები შემოახედა მტევნებს და ჩიტებმა უკვლავ შემოაქნა ვარძიანი გოგონამ ერთ კარგ მტევანს ღობანდი დაელოდა ენბის ძირში ჩავდა და კურ. ეს დაიწყო. ღიამ მალე შეკურა პარკი. არჩეული მტევანი შეუ ჩავი და უწინთან ძაფი შემოუკითხა. მერე რამდენიმე ნახევით უკან დაიხია. პარკს გაბედა და აღტაცებით წამოიძახა: — ნახეთ, როგორ უხდება!

პაპამ, პაუდი და გოგომ გაჩვიეს თოვრი პარკს. რომელიც მწანე ფოთლებში მართაც დამაბად მოჩანდა.

— ყოჩაღ, ღია, კარგი გოგონა ყოფილხარ!—მოულო პაპამ გოგონა. თავზე ხელი გადუსვამა მერე ისეუ პარკს გახედა და თავისთვის ჩილა: პარკა!

— ემ, არ მიწეოდა ასე ნაადრევად დამეხედა ეს ღიანა მტევნები! მაგრამ რა გაეწეოდა. თუ მალე არ მიხედე, სულ გამოუკვდავენ ჩიტები.

— ასეთ პარკებს ჩვეს შეუკვრეთ და ხან თარიშზე სულ ცოცხალი მტევნები გვეუქნება!—ღიამ ტაკებით წამოიძახა ბავშვებსა.



გიგის მეგობრები



სულხან ქაშილაური

კვირა დღე იყო.

გიგიმ ისაუზმა. შურდული მონახა, ერთგული ძაღლი—ტუტაც აიყოლია და ტყისაკენ გასწია. ტყეში რომ შევიდნენ, უცბად ფუტკარის ზუზუნი შემოესმათ. გიგიმ ყური დაუგდო: მთელი ტყე ზარის ხმაზე გუგუნებდა. გიგის ახსოვდა ერთხელ რომ უბინა ფუტკარმა და ერთად თავმოყრილ ფუტკრებს კოველთვის ერიდებოდა, მაგრამ ცნობისმოყვარეობამ წახსდია და პირდაპირ იქით წავიდა. ტუტაც უკან აედევნა.

მაღე ერთ ვაკე ტაფობში ახლად მოჭრილ წიფელს წაადგნენ. ძირს დავდებულ ხეს ცალი გვერდი ამოღრუტნული პქონდა. ფულუროში მოჩანდა ჩამოღვენთილი თაფლი და ფიქის ნარჩენები. ფუტკარი გუნდად ეხვეოდა მოშლილ საბუღარს და საბრალოდ ბზუოდა.

გიგის შეებრაღა ფუტკრები, მაგრამ შეველა არაფრით შეეძლო. ისევე უკან გამობრუნდა და ნანახი მამას უამბო.

— რა ვქნათ, ვერაფრით ვუშველით?

— შეველა შეიძლება, — თქვა მამამ, — წავალ კოლექტივის მეფუტკრე თედოს სკას გამოვართმევ. ფუტკარი სკაში შევსხათ და წამოვიყვანოთ.

მამა მალე დაბრუნდა და თაფლწასმული, ცარიელი სკაც მოიტანა.

— მერე, როგორ უნდა შევსხათ სკაში? — იკითხა გიგიმ.

— ფუტკრებს სკას დავუდგამ და თაფლის სუნს რომ აიღებენ, თვითონვე შევდენ შიგ.

— მართლა? — გაუკვირდა გიგის.

— აი, მივალთ და შენ თვითონ ნახავ.

გიგიმ შორიდანვე დაანახვა მამას მოჭრილი წიფელი, მაგრამ ფუტკრები აღარ ჩანდნენ, აღარც ბზუილი ისმოდა.

— რა იქნა ფუტკარი? — შეწუხდა გიგი.

— აქვე იქნება სადმე — თქვა მამამ და ნელა წავიდა ხისკენ. — ახლა ბინის პოვნა არც ისე ადვილია. ხანდახან სამ დღეს დაეძებენ.

მიუახლოვდნენ ხეს და დაინახეს ერთად აკინძული ფუტკარი, რომელიც გორგალივით ეკიდა გადატეხილ ტოტზე და ნელა, ოდნავ გასაგონად ზუზუნებდა.

გიგის შეეშინდა და უკან დაიწია. მამამ ხელი მოჰკიდა და ისე მიიყვანა.

— ნუ გეშინია, ფუტკრები ასეთ დროს აღარ იკბინებიან, — მერე სკა გვერდით მიუდგა გორ-

გალს და ნაფოკით რამდენჯერმე დააკაუნა-
ფუტკრები ადგილიდან არ დაიძრნენ. შავი
ბურთი თავისთვის ფუთფუთებდა.

— რატომ არ შედიან?— იკითხა გიგამი.

— სანამ დედაფუტკარი არ ეტყვის, არ შევ-
ლენ,— მიუგო მამამ და ერთი მოზრდილი ფუტ-
კარი დაანახვა.— ტანმსხვილი, პირმურა და
ფრთებმოკლე, რომელიც უშიშრად დააბოტებ-
და ფუტკრებზე.

— ალბათ, ძალიან კბენია იქნება, რადგან
ყველას აშინებს.

— სულაც არა, არც ნესტარი აქვს და არც
იკბინება. ეს ამათი დედაა, ყველას უფრთხილ-
დება. აი, დახედე, როგორ უვლის ირგვლივ,
როგორ აწებს ირგვლივს ოჯახს.

— მაშინ დავიჭიროთ და ხელით შევხვთ.


— არა, არც ეგ შეიძლება,— თქვა მამამ,—
ფუტკართან ძალადობა არ გამოადგება. ასეთი
წესი აქვთ: ბინა რომ მოეშლებათ, დედაფუტკა-
რი პირველ რიგში მზვერავს გაგზავნის ახალი
ბინის მოსაძებნად. ჰოდა, ვიდრე ისინი არ დაბ-
რუნდებიან, ადგილიდან ფეხს არც ერთს არ
შოაკვლევინებს. თან გუშაგებიც ჰყავთ. ის გუ-
შაგები სხვა სკებიდან მოფრენილ, გზაბნეულ

საბუღარმოშლილი ფუტკრის ოჯახი ახალ
ბინაში გადასახლდა. ამ დღიდან გიგის ახალი
საზრუნავი გაუჩნდა: ფუტკრები ზამთრის სარ-
ჩოს ცველარ შეფარებდნენ,— აღარც ყვავილები
იყო, აღარც ხილი და აბა, საიდანღა უნდა აედოთ
ტკბილი ნექტარი თავლის გასაკეთებლად.

გიგი ფუტკრის მოვლამ ისე გაიტაცა, რომ
საუფარელი შურდულიც კი გადავიწყდა. სა-
საფუტკრე მყუდრო ადგილზე, მზის ამოსახედის
მხარეს მოაწყო. მოვლას ძია თედო ასწავლი-
და,— ხელპირდაუჭანელი ახლო არასოდეს მიხ-
ვიდეო.— ეუბნებოდა,— არც ნიორნაქამი და თევზ-
ნაქამი. ფუტკრებს ძალიან სძულთ მურალი სუ-
ნიო.


გიგი ზედმიწევნით ასრულებდა ძია თედოს
დარიგებას და ფუტკრებიც არ ჰკბენდნენ. კვი-
რაში თითოჯერ გაქსნიდა სკას— სახურავს ახდი-
და და რძეში ან წყალში დასველებულ შაქრის
ნატეხებს შეუწყობდა. სველ შაქარს ფუტკარი
წუწნიდა და საზრდოობდა. ასე გავიდა ზამ-
თარი...

ნახატო გიორგი რკინიგზისა




ფუტკრებს უკანვე აბრუნებენ.
მალე რამდენიმე ფუტკარი ბზუილით შემო-
უერთდა გორგალს. დედა ფუტკარი შეეგება და
თითქოს რალც გამოჰკითხა. მერე გაშალა ფრთე-
ბი და პირდაპირ სკის ნახვრეტში შეფრინდა.
ცოტა ხნის შემდეგ ისევ უკანვე გამოჩნდა, ნახვ-
რეტის პირას ჩამოჯდა და ბზუილი გააბა,—
ამით ანიშნა, ბინა საიმედოაო.
შავი გორგალი უცხად წაგრძელდა, მოძრავ
ზოლად გაიწედა— ფუტკარმა სკაში დაიწყო შეს-
ვლა. გორგალი რომ ჩამოთავდა, დედაც შექუცა.

აგომსვლელი „ლენინი“




ჯანსუღ ნიპაბაძე

ნახატი ზურაბ შორჩხიძისა



უცებ ატყდა ვზოში
ქოთქოთი და ვალაო,
უზხო-უველოდ გაქრაო
მამლაყინწა-მამალი.
მერე როდის, არ იტყვით?
სწორედ უცნაურია,
დღისით, მზისით, როცა სახლს
დარაჯობდა მურია.




ვარიკებმა ერთმანეთს
გადასძახეს კაკანით:
ყვინჩილამ თქვა:—აქ იყო
იქნებ ისევ აქ არი!
აკიკინდა ბეაგეკა:
— ბოსტანშია ვგება!
ინდაური ფაფხურა
დადის მთელი ამალით,

მაგრამ არსად არა ჩანს
მამლაყინწა-მამალი.
საქათმისკენ იჩქარის
ფერწასული ვარიკა,
მელამ წაიყვანაო,
თავს უშველეთ, არიქა!
მერე ასე უჩუმრად?
მართლაც საკვირველია,

რა ყოფილა მელია,
მელაკულა-მელია!
— ჰამ, ჰამ!—ბრაზობს მურია,—
მისი სისხლი მწყურია!..
— ჰე, მურია, მურია!—
ფისო კვდება სიცილით,—
— მე რომ ვიყო, თავს ვარეთ
არ გამოგყოფ სირცხვილით!



მურია, მურია!



ნახატი-ხუმრობა პ. პაულაშვილისა



ნაქირთა ძაობა

ზღაბარი ნახატი ლიმიგრი ზარაშვილისა

დათვმა, მგელმა და მელიამ თავი მოიყარეს და ერთმანეთს შესჩვიეს:

— რა ხანია შიმშილით კუჭი გვიხმება, მოდი, დავძმობილდეთ, და ამიერიდან რაც მოვიინადიროთ, ძმურად გავიყოთ ხოლმეო.

დამძობილდნენ და ფიცი დადეს, ერთმანეთისათვის არ ელაღატნათ.

წვიდნენ სანადიროდ. იღბალზე მძიმედ დაქრილ ირემს გადაეყარნენ, კისერი მოუგრიხეს, ჩეროში მწვანეზე დასხდნენ და გაყოფას შეუდგნენ. შიმშილით კბილებაკანკალებულ მგელს დათვმა უბრძანა:

— აბა, გაჰყავიო!

მგელმა თქვა:

— თავი შენ, როგორც ჩვენს ბატონს და მეთურს, შუა ტანი—მე და ფეხები—მელიას, რადგან ცუნცული უყვარსო!

ეს უკანასკნელი სიტყვები ჯერ არც კი დაემთავრებინა მგელს, რომ დათვმა ისე ღონივრად ჩაპკრა თვში წინა თათი,—მთებმა ხანი მისცეს. მგელი უშულოთ განზე გადაა.

დათვი მიუბრუნდა მელიას და უთხრა:


— ჩემო მელიავ, შენ გაჰყავიო!

ცბიერმა მელიამ მოწიწებით თქვა:

— თავი შენ, როგორც ჩვენს მეფეს, შუა ტანი შენ, რადგანაც ჩვენზე მამობრივად ზრუნავ, და ფეხებიც შენ, ვინაიდან ჩვენდა საკეთილდღეოდ დადიხარო!

— ბარაქალა, ჩემო მელიავ, ვინ გასწავლა ერთი კკვიანური გაყოფაო,—ჭკითხა დათვმა.

— მგელმა მასწავლაო,—მოუგო მელიამ.



26/98



ნახატი მ. აგბოქაძის

ველარ შეგვაკრთობს ქარბუქი,
არც დავსველდებით წვიმაში,

უჭ, რა მშვენივრად მოვეწყვეთ
ამ ახალ კაკლის ბინაში!

რედაქტორი ვანოსუდ ჩარაძინი, სარედაქციო კოლეგია: ბ. გიგინეიძე, მ. გომიანი, ჯ. ლოლა, შ. მამუკაშვილი, ჯ. ნინო, შ. ცხადაძე (სამხატვრო რედაქტორი) ნ. ფულდისკინი (რედაქტორის მოადგილე) რ. ბიძინაძე
საქართველოს ილქ ცენტრალური კომიტეტისა და ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პიუნერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ფუნაილი

უცის მხატვრობა იკუთვნის მ. შიშკარინს

ტაქტიკური ბ. რინიანი

გამოცემის ოცდამეცხედრე წელი, რედაქციაში შემოსული მასალები ატორებს არ დაუბრუნდება.
გამომცემლობა „საბავშვო“, გამოს. შეჯ. № 589, საქმის შეჯ. № 2271, ტირაჟი 34.000, ხელმოწერილია დასაბეჭდო 15/IX 1964 წ.
ურხაი დაბეჭდილია პოლიგრაფულ კომბინატში, ლენინ ქ. № 14 „ДИЛТА“ ან გრუზინკო ავია. თბილისი, პროფ. ასახოვა № 01.
რედაქციის მისამართი: თბილისი, პეტრიაშვილის ქ. № 61, ტელ. 5-27-38.

ფასი 20 კაპ.